სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
ხელშეკრულება №30

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 17 იანვარი 2017 წ.

ხელშეკრულების მხარეები:

შპს ,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი'' (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი დირექტორი მინდია კახიძე;

შპს ,,ლუკა მოტორსი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), წარმოდგენილი დირექტორი ზაზა ხალვაში;

ორთავე ერთად ,,მხარეებად" წოდებულნი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: შემსყიდველი ორგანიზაციის კუთვნილ „ლენდ როუვერ დიფენდერი"-ს, მერსედესი (სპრინტერი)-ს და ფორდ ტრანზიტის მარკის ავტომანქანებზე ტექნიკური მომსახურება კერძოდ: საბურავების მოხსნა, შეცვლა, ბალანსირება და დაბმა. დანართი N1-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: **50100000**.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **300 (სამასი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს **(სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები და შპს-ს სახსრები)** მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში მიღებ-ჩაბარების აქტის ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, გამოვლენიდან/შეტყობინებიდან 3 (სამ) სამუშაო დღის ვადაში.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის სერვის ცენტრი.

6.2. მომსახურების შესყიდვას შემსყიდველი განახორციელებს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან **2017 წლის 31დეკემბრის** ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხისთ, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული მომსახურება ნაკლის მქონე აღმოჩნდება, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი ახლით, გამოვლენიდან/შეტყობინებიდან 3 (სამ) სამუშაო დღის ვადაში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02 %.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „ბათუმისსასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი”	შპს „ლუკა მოტორსი LTD Luka Motors“
საიდენტიფიკაციო კოდი:245426490	საიდენტიფიკაციო კოდი: 445433451
იურიდ. მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.№154;	იურიდ. მის: ბათუმი, გენერალ ა. აბაშიძის ქ.N119;
	ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ.N11;
ელ. ფოსტა: batumi03@gmail.com	ელ. ფოსტა: lukamotors@bk.ru;
ტელეფონი: +0422 25 87 03;	ტელეფონი: +995 577 34 87 44;
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“	მიმღები ბანკი: ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა “
ბათუმის ფილიალი	
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: REPLGE22
ანგარიშისN GE92TB4457736020100006	ანგარიშის № GE23BR0000010841109848
დირექტორი	დირექტორი
მინდია კახიძე	ზაზა ხალვაში

დანართი N1

ქ. ბათუმი 17 იანვარი 2017 წ.

ხელშეკრულება N30

N	შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ კუთვნილი ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება		
	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	მომსახურების ღირებულება
1	საბურავის შეკეთება, დაყენება	ცალი	3 ლარი
2	საბურავის დაწებვა	ცალი	5 ლარი
3	საბურავის შეცვლა, ბალანსირება	ცალი	5 ლარი

	ავტომანქანების დასახელება	სახელმწიფო N	გამოშვების წელი
1	ლენდ როუვერ დიფენდერი	DDQ-024	2009
2	ლენდ როუვერ დიფენდერი	DDQ-025	2009
3	ლენდ როუვერ დიფენდერი	DDQ-026	2009
4	ლენდ როუვერ დიფენდერი	DDQ-027	2009
5	ფორდტრანზიტი	BBR-458	2011
6	მერსედესი(სპრინტერი)	AMS-983	2001

„შემსყიდველი“

შპს „ბათუმისსასწრაფო სამედიცინო
დახმარების ცენტრი”
საიდენტიფიკაციო კოდი:245426490;
იურიდ. მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.№154;
ელ. ფოსტა: batumi03@gmail.com
ტელეფონი: +0422 25 87 03;

მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის№ GE92TB4457736020100006

დირექტორი:
მინდია კახიძე

„მიმწოდებელი“

შპს „ლუკა მოტორსი LTD Luka Motors“

საიდენტიფიკაციო კოდი: 445433451;
იურიდ. მის: ბათუმი, გენერალ ა. აბაშიძის ქ.N119;
ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ.N11;
ელ. ფოსტა: lukamotors@bk.ru;
ტელეფონი: +995 577 34 87 44;

მიმღები ბანკი: ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა “
ბანკის კოდი: REPLGE22
ანგარიშის № GE23BR0000010841109848

დირექტორი
ზაზა ხალვაში